SARGIS KAKABADZE AND ISSUES OF THE HISTORY OF THE GEORGIAN ORTHODOX CHURCH

სარგის კაკაბაძე და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიის საკითხები

Sergo Vardosanidze
PhD, Doctor of Historical Sciences Professor of Tbilisi
Theological Academy and Seminary
Tbilisi, Georgia
ORCID ID: 0000-0003-0579-5458
+995599575190; sergovar@gmail.com

Abstract

Professor Sargis Kakabadze is one of the outstanding researchers of the medieval, new, and modern history of Georgia, who has passionately studied the political and economic history, together with urgent history problems of the Orthodox Church of Georgia: Apostolic work of Saint Nino, the chronology of the declaration of Christianity as the state religion, religious processes in Kartli and Egrisi in the V-VIII centuries, the history of Svetitskhovli Cathedral, the hierarchical attitude between Kartlian and Abkhazian Catholicoi. The Rein Chronology of the Catholicos-Patriarchs of Georgia. In the hardest period of statehood (1921), the scientist published a two-volume set of all church documents that had reached us with comments, including, " The Court Of Justice", the decisions of the church council of King Solomon I, the King of Imer's (Imereti). The researcher considered illegal the order of cancelation of the autocephaly of the Georgian Church, made by the Russian Emperor Alexander I, at the beginning of the 19th century. He supported and played an active role in the struggle to restore the autocephaly of the Georgian Church. His contribution to the research of the history of the Church of Georgia is priceless.

Key words: Sargis Kakabadze, Church of Georgia, Catholicos-Patriarchs, Solomon I, autocephaly, ecclesiastical documents.

სერგო ვარდოსანიძე
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, თეოლოგიის დოქტორი,
პროფესორი, თბილისის სასულიერო აკადემიის და სემინარიის პროფესორი,
თბილისი, საქართველო
ORCID ID: 0000-0003-0579-5458
(+995)599575190; sergovar@gmail.com

აბსტრაქტი

საქართველოს შუა საუკუნეების,ახალი და უახლესი ისტრორიის ერთ-ერთი გამორჩეული მკვლევარია პროფესორი სარგის კაკაბაძე,რომელიც საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკურ ისტორიასთან ერთად გატა-

ცებით უკვლევდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიის აქტუალურ პრობლემებს: წმიდა ნინოს მოციქულებრივ მოღვაწეობას, ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების ქრონოლოგიას, რელიგიურ პროცესებს ქართლსა და ეგრისში V-Vll საუკუნეებში, სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძრის ისტორიას, ქართლისა და აფხაზთა საკათალიკოზოს იერარქიულ დამოკიდებულებას, სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქების მამამთავრობის ქრონოლოგიას, მეცნიერმა საქართველოს სახელმწიფოებრიობის უმძიმეს პერიოდში (1921) კომენტარებით გამოაქვეყნა დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთების ორტომეული, რომელშიც შესულია ჩვენამდე მოღწეული ყველა საეკლესიო დოკუმენტი, მათ შორის „კათოლიკოზთა სამართალი“, იმერთა მეფე სოლომონ l საეკლესიო კრების გადაწყვეტილებები, მკვლევარმა უკანონოდ მიიჩნია XlX საუკუნის დასაწყისში რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე l ბრძანება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შესახებ, მხარი დაუჭირა და აქტიური მონაწილეობა მიიღო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალის აღდგენისათვის ბრძოლაში.განუზომლად დიდია მისი ღვაწლი საქართველოს ეკლესიის ისტორიის კვლევის საქმეში.

საკვანძო სიტყვები: სარგის კაკაბაძე, საქართველოს ეკლესია, კათალიკოზ-პატრიარქები,სოლომონ l, ავტოკეფალია,საეკლესიო საბუთები.

შესავალი

საქართველოს ეკლესიის ისტორიის მეცნიერული კვლევა დაიწყო XlX საუკუნის მეორე ნახევარში, მაგრამ სამწუხაროდ რუსეთის ხელისუფლება ყველანაირად ცდილობდა ამ პროცესის შეჩერებას, პროფესორ სარგის კაკაბაძეს ივანე ჯავახიშვილთან, მიხეილ თამარაშვილთან, ევსევი ნიკოლაძესთან, ეპისკოპოს-შემდგომში კათალიკოზ კირიონთან ერთად ერთად უდიდესი წვლილი მიუძღვის საქართველოს ეკლესიის ისტორიის კვლევის საქმეში.სტატიაში განხილულია გასული საუკუნის პირველ მეოთხედში სარგის კაკაბაძის მიერ სხვადასხვა სამეცნიერო ჟურნალებში, ბროშურებსა და დოკუმენტების კრებულებში გამოქვეყნებული მასალები, ნაჩვენებია მისი კვლევის მნიშვნელობა და აქტუალობა.

მეთოდი

სტატია ეფუძნება ისტორიულ-შედარებით,რეტროსპექტულ და შინაარსობრივი ანალიზის მეთოდს,ასევე,ემპირიული მასალის კრიტიკულ გააზრებას და განზოგადებას.

შედეგები

სტატიაში ნაჩვენებია: 1. სარგის კაკაბაძის დამოკიდებულება ქართველთა განმანათლების წმიდა ნინოს მიმართ და ქართლის გაქრისტიანების მისეული თვალსაზრისის მნიშვნელობა,2.მკვლევარის შეხედულება „მოქცევაი ქართლისაის“,როგორც ქართველთა გაქრისტიანების მთავარი წყაროს შესახებ, 3. რელიგიური პროცესები V-Vll

საუკუნეების საქართველოში, 4. მეცნიერის როლი Xl-XVlll საუკუნეების საეკლესიო დოკუმენტების შეკრებისა და დათარიღების საქმეში, 5. მკვლევარის დამოკიდებულება ავტოკეფალური მოძრაობის ცალკეულ წარმომადგენელთა მიმართ და მისი იმედგაცრუება კათალიკოზ კირიონ ll ბურუსით მოცული მკვლელობის გამო.

მსჯელობა და დასკვნები

სარგის კაკაბაძე XX საუკუნის ერთ-ერთი დიდი ისტორიკოსია, რომლის ნაშრომების მხოლოდ მცირე ნაწილია გამოცემული, ისიც გასული საუკუნის 20-იან წლებში. მისი, როგორც ისტორიკოსის, ღვაწლის სრულფასოვნად შეფასება შეუძლებელია, თუ არ გავითვალისწინეთ ის მრავალრიცხოვანი გამოუქვეყნებელი პირველხარისხოვანი მონოგრაფიები, წერილები თუ ორიგინალური სახელმძღვანელოები, რომლებიც დაცულია მეცნიერის საოჯახო არქივში და რომლის გაცნობის შესაძლებლობა სამწუხაროდ ფართო საზოგადოებას არ აქვს.

სარგის კაკაბაძემ ცხოვრების დიდი გზა განვლო, სწავლობდა ვენის უნივერსიტეტში, შემდეგ - პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ფაკულტეტზე. 1911-დან 1967 წლებში მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო არქივში,სხვადასხვაუმაღლესსასწავლებლებშიკითხულობდასაქართველოს ისტორიის კურსს, იყო სიძველეთა დაცვის კომიტეტის ხელმძღვანელი 1924-1936 წლებში, აქტიურ მონაწილეობას იღებდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის წარმოებულ ბრძოლაში. 1917 წლის 12 მარტიდან 8 სექტემბრამდე იყო საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის წევრი და მონაწილეობდა მნიშვნელოვანი საკითხების განხილვაში, რასაც ადასტურებს დროებითი მმართველობის სხდომათა საოქმო ჩანაწერები.

სარგის კაკაბაძის ინტერესის სფერო იყო საქართველოს ისტორიისა და საქართველოს ეკლესიის ისტორიის აქტუალური პრობლემები. მისი ერთ-ერთი პირველი ნაშრომი ეძღვნება ქართველთა განმანათლებელს - წმიდა ნინოს. „წმიდა ნინო და მისი მნიშვნელობა საქართველოს ისტორიაში“ - ამ სახელწოდების მცირე წიგნაკს საფუძვლად დაედო ავტორის მიერ 1912 წლის 14 იანვარს წაკითხული საჯარო ლექცია. ავტორი, ივანე ჯავახიშვილისაგან განსხვავებით, თვლის, რომ წმინდა ნინო რეალური ისტორიული პიროვნება იყო. ავტორი შეეცადა აეხსნა, თუ რამ განაპირობა IX საუკუნემდე ქართველების მიერ წმიდა გრიგოლ განმანათლებლის წმიდა ნინოს ადგილზე მოხსენიება. მისი აზრით, ქართლის იმ ნაწილში, რომელიც IV საუკუნეში სომხეთის შემადგენლობაში შედიოდა, ნამდვილად გრიგოლ განმანათლებელმა იქადაგა ქრისტიანობა, ხოლო მეორე ნაწილში - მოციქულთა სწორმა წმიდა ნინომ. მეცნიერი გამოთქვამს ვარაუდს, რომ ჩვენთან ქრისტიანობა „სირიულ-პალესტინური იყო, რაც ხელს უწყობდა ადგილობრივი კულტურის აყვავებას და ეროვნული თვითცნობიერების გაღვიძებას“(კაკაბაძე,1912:10).

წმიდა ნინო „არის ნაყოფი ჩვენი ერის შემოქმედობისა, ის არის განპიროვნებული გამოხატულება ქართველი სულის თავისუფლებისა, ქართველი ეროვნების სულიერი ინდივიდუალიზმისა“ (კაკაბაძე, 1912:14).

პროფესორმა სარგის კაკაბაძემ ვრცელი გამოკვლევა მიუძღვნა „მოქცევაი ქართლისაის“ თხზულებას. ავტორმა დაწვრილებით განიხილა თავისი წინამორბედი და თანამედროვე მეცნიერების მოსაზრებანი და აღნიშნა: „შედარებითი განხილვა შატბერდის და ჭელიშური ვარიანტებისა ჩვენ გვიჩვენებს კიდევ ერთ ფრიად საინტერესო გარემოებას. თავის პირველ ნაწილში „მოქცევაი ქართლისაი“ს ორივე ვარიანტი შინაარის მიხედვით თუმც მისდევს ერთმანეთს, მაგრამ თვალსაჩინოდ განსხვავდება ერთმანეთისაგან, როგორც სტილის, ასევე ლექსიკური მოცულობის მხრივ“(კაკაბაძე, 1924:58).

„მოქცევაი ქართლისაის“ ტექტოლოგიური ანალიზის საფუძველზე, მეცნიერი ვარაუდობს, რომ თავდაპირველად ეს თხზულება ბერძნულად უნდა ყოფილიყო დაწერილი 365-400 წლებში, ხოლო შემდეგ ეთარგმნათ ქართულ ენაზე. მკვლევრის მოსაზრებით, ანტიკური ხანის საქართველოს ისტორიაზე მასალები, უძველესი ქართული მატიანე თავდაპირველად არამეულ ენაზე უნდა დაწერილიყო: „ამგვარად გამოდის, რომ „მოქცევაი ქართლისაი“ წარმოადგენს ძველს ქართულს საისტორიო ნაწარმოებს, დაწერილს IV საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში ბერძნულ ენაზე. ავტორს - გრიგოლ დიაკონს ხელთ ჰქონია უძველესი ქართული მატიანე, რომელიც დაწერილი უნდა ყოფილიყო არამეულად I საუკუნის პირველ ნახევარში“ (კაკაბაძე,1924:81). მისი მტკიცებით, „მოქცევაი ქართლისაის“ პირველი ნაწილი IV საუკუნეშივე ითარგმნა ქართულად, ხოლო მეორე ნაწილი „დაწერილ უნდა იყოს დაახლოებით... 650 წლის ახლოს. ტექსტი უნდა თავდებოდეს არაბების მიერ ბაღდადის აღების და ბერძნების კავკასიიდან გასვლის ცნობაზე“(კაკაბაძე, 1924:91-92).

მეცნიერმა საგანგებოდ შეისწავლა IV-V საუკუნეებში ქრისტიანობის თავისებურებები ქართლში, ვახტანგ გორგასლის საეკლესიო რეფორმა და მისი მნიშვნელობა. მან ყურადღება მიაქცია ჯუანშერის ერთ ცნობას და გამოთქვა საინტერესო ვარაუდი: „ჯუანშერი აღნიშნავს, რომ მირიანიდან გორგასლამდე მცხეთაში სულ 13 ეპისკოპოზი იჯდა და ამათგან წესსა ზედა ჭეშმარიტსა გარდაცვალებულნი იყვნენ რვანი, ხოლო სხვანი შემშლელნი წესისანი. ჭეშმარიტ წესად ჯუანშერი უნდა გულისხმობდეს მსოფლიო საეკლესიო კრებების დადგენილებების და, მათ შორის დიოფიზიტობისაც, ზუსტ მიმდევრობას. ცხადია, რომ თუ ქართლის ეკლესიის მეთაურთა შორის თითქმის საუკუნე ნახევრის სიგრძეზე საეკლესიო წესის შემშლელნი ყოფილან. ქართველებშიც ყოფილა დიდი ბრძოლა ქრისტიანული სარწმუნოების დოგმების ინტერპრეტაციისათვის“ (კაკაბაძე,1994:149). ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებო იყო მთავარეპისკოპოზი მობიდანი, რომელიც ქრისტიანულ დოგმებს თავისებურად უდგებოდა და ცდილობდა ქრისტიანობის და ცეცხლთაყვანისმცემლობის შერიგებას. მეცნიერი ეთანხმება „მოქცევაი ქართლისაის“ ცნობას ვახტანგ გორგასლის დროს ქართლში კათალიკოზობის დაწესების შესახებ და ამ ისტორიული მოვლენის ქრონოლოგიას 475-476 წლებით ათარიღებს. მანვე გამოთქვა მოსაზრება 480 წლიდან ეგრისის ეკლესიის ქართლის კათალიკოზისადმი მორჩილების შესახებ. (კაკაბაძე,1994:330).

მეცნიერის მტკიცებით, მცხეთაში, სამთავროში, მჯდომი მთავარ-ეპისკოპოზი ქართლის კათალიკოზის მოადგილე უნდა ყოფილიყო, ხოლო დედაქალაქის თბილისში გადმოტანის შემდეგ სამეფო სახლის ეპისკოპოზიც თბილისში გადმოვიდოდა. V საუკუნიდან „ეპისკოპოზებს მიეცათ მმართველობის საქმეში იგივე ფუნქციები, რომელიც უფრო ძველად ჰქონდათ ქურუმებს - ისინი იყვნენ სასამართლო საქმეების გამრჩევნი... საერთოდ, ეკლესია ერეოდა უმნიშვნელოვანეს ყოფა-ცხოვრებით სა-კითხებში... ბასილი ზარზმელი VI საუკუნის გიორგი მაწყვერელის შესახებ წერს, რომ მან „ხელთ იდვა რაი განგებაი სამცხოსაი, დააწყნარა ყოველი საბრძანებელი თვისი, ვითარცა წეს იყო და დაიპყრა ყოველი მამაული და ეკლესიანი პირველთა მათ მეშფოთეთანი“. (კაკაბაძე,1994:339). ს.კაკაბაძის აზრით, ქართული ეკლესია, კათალიკოზი და მისი მღვდელმთავრები უკვე აქტიურ როლს ასრულებენ ქვეყნის პოლიტიკურ-რელიგიურ ცხოვრებაში. მეცნიერი იზიარებდა იმ თვალსაზრისს, რომ IV-VIII საუკუნეებში დასავლეთ საქართველოს საეპისკოპოზოები კონსტანტინოპოლის იურისდიქციაში შედიოდნენ, უფრო მეტიც, ამ დროს ბიზანტიის მოსაზღვრე ქართულ პროვინციებში (ისტორიულ ტაოში) იყო „იშხნის საკათალიკოზო“, რომელიც არ ემორჩილებოდა მცხეთის კათალიკოზს“. (კაკაბაძე, 1994:330).

მეცნიერი შეეცადა ქართლის პირველი კათალიკოზის - პეტრეს შემდეგ VI საუკუნის კათალიკოზების ვინაობის და ქრონოლოგიის დაზუსტებას. ესენია: სამოელი, თავფაცაგ, ევლალე, მაკარი... შემდეგ მათი ვინაობა უცნობი იყო. მისი დაკვირვებით, ქართლში მარზპანობის დროს „კათალიკოზობა მცხეთელ ორ გვარს ჩაუგდია ხელში და მარზპანობის დროს ამ ორი სახლიდან რიგრიგობით ან სხვა წესით უნდა ყოფილიყვნენ ქართლის კათალიკოზნი“. (კაკაბაძე,1994:376). ვახტანგ გორგასალს ქართლში მრავალი ეკლესია აუშენებია, რომელთაგან მნიშვნელოვანია: მცხეთის სვეტიცხოველი, ანჩისხატი, ციხე-გოჯში გუმბათიანი ეკლესია, გერგეტის სამება, ლომისის ეკლესია, სამთავისი, ჭალის ჯვარიპატიოსანი, საეპისკოპოზო ტაძრები რუსთავში, ჭერემში, ჩელეთში.

საინტერესოა მეცნიერის მსჯელობა ქართულ-სომხურ საეკლესიო განხეთქილებაზე VII საუკუნეში. ამ პრობლემას ეძღვნება მისი გამოკვლევა: „როდის არის დაწერილი ტრაქტატი განყოფისათვის ქართლსა და სომხითისა“. ავტორმა, თ.ჟორდანიას და ივ.ჯავახიშვილისაგან განსხვა-ვებით, წამოაყენა თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც თხზულების ავტორი იყო სამეცნიერო ლიტერატურაში მანამდე უცნობი არსენ ქართლის კათალიკოზი, რომელიც ქართლში მოღვაწეობდა VII საუკუნის დასასრულს. (კაკაბაძე,1924:55).

საყურადღებოა პროფესორ სარგის კაკაბაძის გამოკვლევა სვე-ტიცხოვლის საკათედრო ტაძრის შესახებ. ქართული და ბერძნული წყა-როების ანალიზის საფუძველზე, იგი ეთანხმება ქართულ ისტორიო-გრაფიაში გავრცელებულ მოსაზრებას პირველი ხის ტაძრის აშენების შესახებ IV საუკუნის დასაწყისში. პირვანდელი შენობა დანგრეულა მირდატ მეფის დროს 430 წელს და მეფე ვახტანგ გორგასალმა აღაშენა დიდი საკათალიკოზო ტაძარი. როგორც ირკვევა, მეორე ტაძარი უნდა აშენებულიყო

X საუკუნეში. მისი აზრით, მელქისედეკ კათალიკოზი, სამართლიანად არის მიჩნეული სვეტიცხოვლის მესამე ტაძრის აღმშენებლად, მაგრამ საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქთა მის მიერ დადგენილ ნუსხაში XI საუკუნეში ორი მელქისედეკია, ერთი 1020-1031 წლებში, მეორე - 1093-1102 წლებში. თუ მელქისედეკ პირველადწოდებულის დროს (1020-1031) აშენდა სვეტიცხოველი, რატომ არაფერს ამბობს ამის შესახებ 1020 წელს გამოცემულ სიგელში, სადაც იგი ჩამოთვლის თავის ღვაწლს და აღნიშნავს: „მას ჟამსა, ოდეს უღირსი ღირს ვიქმენ საჭეთმპყრობად წმიდისა ამისა ტაძრისა კათოლიკე სამოციქულო ეკლესიისა და შევამკევ სალხინებლად სულისა ჩემისა და წარსამართებლად ქრისტანეთა და შევამკე ყოველივე სამკაულობითა ოქროთი და ვერცხლითა, თუალითა და მარგალიტითა და საღმრთოითა წიგნებითა დაწერითა“. როგორც ამ სიგელიდან ჩანს, მას მცხეთაში აუშენებია „გარე ბჭე“. (კაკაბაძე, „როდის არის აშენებული სვეტიცხოვლის ტაძარი“, 1928:104).

მეცნიერი ყურადღებას აქცევს მელქისედეკ კათალიკოზის შემდეგ მინაწერს: „ამათ ყოველთა ნაქმართა ჩემდა, შემდგომად სამხრით სადიაკვნოსა წმიდათა მოწამეთა სამარტვილოსა შიგან შევქმენ საფლავი ჩემი და დავდგი საკურთხეველი და ამასა საკურთხეველსა დავაყენე მწირველი“. ამგვარად, მელქისედეკ კათალიკოზს XI საუკუნის პირველ მეოთხედში მცხეთაში აუშენებია მხოლოდ გარეთა ბჭე და, შესაძლებელია, მასვე ეკუთვნოდეს სვეტიცხოვლის სახურავის შეკეთება“. (კაკაბაძე, „როდის არის აშენებული სვეტიცხოვლის ტაძარი“, 1928:104). მეცნიერის ვარაუდით, სვეტიცხოვლის მესამე ტაძრის აგება უნდა მომხდარიყო 925-945 წლებში და ამ დროს ქართლის კათალიკოზი ჩვენთვის აქამდე უცნობი მელქისედეკი უნდა ყოფილიყო.

სარგის კაკაბაძე შეეცადა, დაეზუსტებინა XIII საუკუნის საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქების ვინაობა და მათი მამამთავრობის ხანა „XIII საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს კათალიკოზების სია შეიძლება დალაგდეს შემდეგნაირად: თამარის დროს იოვანე, ამის შემდეგ ეპიფანე, რომელიც ჩანს 1218 წელს ანისის ცნობილ წარწერაზე, ამის შემდეგ არსენ III და გიორგი 1218-1224 წლებში, 1224-1233 წლებში არსენ IV ბულმაისიძე, რომელიც შემდგომ კათალიკოზობას თავს ანებებს, უბრალო მწირად ცხოვრობს შიომღვიმეში და ცოცხალია 1249 წელს. 1250 წლიდან კათალიკოზად უნდა ყოფილიყო ნიკოლოზი“. (კაკაბაძე, საისტორიო მოამბე, II, 1925:124).

მკვლევარი, ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული თვალ-საზრისის საწინააღმდეგოდ, ამტკიცებდა, რომ 830 წელს აფხაზთა საკათალიკოზოს შექმნის შესახებ ცნობა „ქართლის ცხოვრების” XVIII საუკუნის ნუსხაშია შეტანილი, „ქართული საისტორიო წყაროები ჯერ-ჯერობით არ იძლევა არავითარ დასაყრდნობ მასალას IX-XI საუკუნეებში აფხაზეთის დამოუკიდებელი საკათალიკოზოს ტახტის არსებობის შესახებ“. (კაკაბაძე, 1925:126).

არც დავით აღმაშენებლის და არც თამარის მეფობის დროს არსად ჩანს აფხაზთა კათალიკოზი. მეცნიერის ვარაუდით, პირველად აფხაზთა

კათალიკოზი მოხსენიებული უნდა იყოს ლაშა-გიორგის დროს. „აფხაზთა საკათალიკოზოს დაარსება მოდის დაახლოებით 1196-1204 წლებში. XIII საუკუნის პირველ ნახევარში გარკვევით ვიცით აფხაზეთის კათალიკოზის არსებობა და დავით ნარინს, როგორც მატიანეებიდან ცნობილია, გვირგვინი უკურთხა ქუთაისში აფხაზთა კათალიკოზმან". (კაკაბაძე, 1925:130). მიუხედავად ამისა, მეცნიერის მტკიცებით, აფხაზთა კათალიკოზები იერარ-ქიულად ქართლის, სრულიად საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქებზე იყვნენ დაქვემდებარებული.

სარგის კაკაბაძემ 1921 წელს ორ ტომად გამოსცა დასავლეთ საქარ-თველოს საეკლესიო საბუთები. პირველი ტომის წინასიტყვაობაში ავტორი წერს: „წინამდებარე გამოცემის როგორც პირველ, ისე მეორე წიგნში მოთავსებული საბუთები დაცული იყო ქუთაისის გუბერნიის სახელმწიფო ქონების სამმართველოში, სადაც მე ისინი განვიხილე 1909 წელს. მცირეოდენი ნაწილი აქ მოთავსებული მასალისა გადმოწერილია პეტერბურგის აზიურ მუზეუმში დაცულ აკადემიკოს ბროსსეს ქაღალდებიდან... წინამდებარე გამოცემაში მოთავსებული საბუთები ეკუთვნის XV საუკუნის მეორე ნახევრიდან, ვიდრე XIX საუკუნის დასაწყისამდე. ეს ის დროა, როდესაც დასავლეთ საქართველო ტომობრივ სახელწიფოებრივ ფარგლებში და ავტონომიურად განაგებდა თავის სახელწიფოებრივ ბედს". (კაკაბაძე,1921:1). თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ 1921-1924 წლებში პეტრებურგისა და მოსკოვის არქივებში დაცული ქართული ისტორიული დოკუმენტების დიდი ნაწილი დაიკარგა, მაშინ ნათელი გახდება, რამდენად მნიშვნელოვანია ეს მასალა. ავტორი გაკვრით მიუთითებს იმ სიძნელეზე, რაც 1921 წლის თებერვლის ბოლშევიკური ოკუპაციის შემდეგ, წიგნის შინაარსიდან გამომდინარე, ბეჭდვასთან იყო დაკავშირებული, მაგრამ უნივერსიტეტის რექტორმა, ივანე ჯავახიშვილმა თავის თავზე აიღო პასუხისმგებლობა. ამ უნიკალური დოკუმენტების საფუძვლიანი განხილვის გარეშე შეუძლებელია დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური და საეკლესიო ცხოვრების სრული სურათის აღდგენა. პირველი წიგნი მოიცავს გელათის, ბიჭვინთის, ქუთაისის, ცაგერის, ნიკორწმიდის, მარტვილის, ხობის საბუთებს. ყველა დოკუმენტი მნიშვნელოვანია, მაგრამ განსაკუთრებით გამოვყოფთ 1472 -1474 წლების „მცნებაი სასჯულოს", რომელიც შედგენილ იქნა იერუსალიმ-ანტიოქიის პატრიარქის, მიხეილის და დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავართა მონაწილეობით, რომელმაც დააკანონა „ლიხთ-იმერეთისა და აფხაზთა საკათალიკოზოს" მცხეთისაგან სრულიად გამოყოფა: „დავამტკიცეთ ჯვარი და ბისონი კეთილითა შევამკეთ და დავასვენეთ და ვერწმუნეთ იერუსალიმისა და ანტიოქიის პატრიარქსა მიხაელს, საპატრიარქოთა და ომფორითა კათალიკოზი იოვაკიმ ქრისტეს საფლავისა მარჯუენითა კათალიკოზად დავაყენეთ და საკათალიკოზოდ ესე გავაჩინეთ". (კაკაბაძე, 1921:1).

აღსანიშნავია ისიც, რომ ეს დოკუმენტი ავტორმა პირველად 1914 წელს გამოსცა. მრავალრიცხოვან დოკუმენტთაგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია 1529 წლით დათარიღებული საბუთი გენათელის საეპისკოპოზოს აღდგენის შესახებ. დოკუმენტში კათალიკოზი მალაქია

„აღმოსავლისა და ყოვლისა ჩრდილოსა და აფხაზეთისა კათალიკოზ-პატრიარქ მალაქიონ“. (კაკაბაძე, 1921:11). დასავლეთ საქართველოს სამთავროები და მთავრები ხშირად ლიხთ-იმერეთისა და აფხაზთა კათალიკოზ-პატრიარქების გვერდის ავლით, თავიანთი სამთავროების ტერიტორიაზე ამტკიცებდნენ და ათავისუფლებდნენ ეპარქიის მმართველ ეპისკოპოზებს, რაც კათალიკოზ-პატრიარქების სამართლიან გულისწყრომას იწვევდა, ამიტომ ისინი ცდილობდნენ, ქვეყნის პოლიტიკური დაშლის პირობებში ერთიანი საეკლესიო სივრცის შენარჩუნებას. ამ მხრივ საინტერესოა 1667-1673 წლებით დათარიღებული ოდიშის მთავრის ლევან III დადიანის მიერ გაცემული სიგელი ლიხთ-იმერეთისა და აფხაზთა კათალიკოზ-პატრიარქ დავით ნემსაძისადმი, რომელშიც დადიანი პირობას დებს: „თქვენს შეუკითხავად არცა არა თქუენი საკითხავი საქმე რამე ვქნა და არც უთქვენოდ ეპისკოპოზსა და წინამძღვარს გავუწყრეთ და გარდავაგდოთ“.(კაკაბაძე, 1921:75).

მეცნიერს საეკლესიო საბუთების პირველ წიგნში აღარ შეუტანია 1913 წელს თავისივე კომენტარებით გამოცემული მეტად საინტერესო დოკუმენტი „სამართალი კათალიკოზისა და მისი შედგენის დრო“, რომელიც ეხება XVl საუკუნის დასავლეთ საქართველოში შექმნილ ურთულეს ვითარებას. ფეოდალურმა ანარქიამ კიდევ უფრო წაახალისა ქვეყნისათვის დამღუპველი ტყვეთა სყიდვის პროცესი, ლიხთ-იმერეთისა და აფხაზთა კათალიკოზ-პატრიარქმა ევდემოზმა ბიჭვინთაში მოწვეულ საეკლესიო კრებაზე, რომელსაც სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქი მალაქიაც ესწრებოდა, მიიღო მნიშვნელოვანი განჩინება: ქ. სახელითა და ღ”თისათა მე, ქრისტეს მიერ კურთხეულმან ყოვლისა საქართველოსა კათალიკოზმან პატრიაქმან მალაქია, მე, ქრისტეს მიერ კურთხეულმან აფხაზეთის კათალიკოზმან მამათ-მთავარმან ევდემონ, დავსხედით და შევკრიბენით ყოველნი ებისკოპოზნი აფხაზეთისანი. და დიდი სიყმილი მოვიდა ცოდვათა ჩუენთაგან, მრავალი უწესობა და უჯერო საქმე შემოვიდა: კაცის კვლა, კაცის სყიდვა, ეკლესიის კრეხვა და უხვედრობა. დავიდევით სჯულის კანონი და ჩუენცა იმისგან გამოვიღევით; და რაცა იმისაგან არ გამოვიღევით, ჩუენ ჩუენი მაგიერი არა შეგვიმატებია რა. და სჯულის კანონიცა ასრე ბძანებს. კაცის სყიდვისა ესე გავაჩინეთ: 1. ქ. რამანც კაცმან კაცი გაყიდოს, ანუ დიდმან, ანუ მცირემან, ანუ თავადმან, ანუ აზნაურმან და ანუ გლეხმან, წმიდათა კრებულთაგან შეჩუენებულ იყოს და განხდილი. რასაც კაცს მართლით განკითხვითა და გამოძიებითა კაცის სყიდვა გამოაჩნდეს, თუ ის კაცი დაიხსნას და მოიყუანოს, მისსა საყდარსა და ებისკოპოზს დაუურვოს, რა ერთიც ძალ-ედვას, დამკლების უფალსაცა დაუურვოს.და თუ ვერ მოიყუანოს, ვინ გინდა ვინ იყოს, თავადისშვილი უნდა აზნაურიშვილი, უნდა გლეხი, მაშინც ვერამ საქმემ ვერ იხსნას, უკანონოდცა არს, – ძელსა მიეცეს“. (კაკაბაძე, 1913:1). დოკუმენტის შემდგენლები შეეცადნენ საეკლესიო კანონების მოშველიებით აღედგინათ წესრიგი დასავლეთ საქართველოს სამეფოში და ეკლესიაში. და ვინც ქრთამი აიღოს და არ ჩამოარჩოს, შეჩუენებულ იყოს წმიდათა კრებულთაგან და კანონსამცა ქუეშე არის წმიდათა მოციქულთასა. ქ. ეკლესიის მკრეხველთათვის ესე განგზესებია 2. ქ. ვინც ეკლესია გატეხოს

და ხატი განძარცოს უკანონოდ, ძელსა მიეცეს. 3. ქ. ვინცა ეკლესიას შიგან შევიდეს და საქონელი გამოიტანოს, ეკლესიასა მისი საქონელი მიეზღოს და კაცი დაშავდეს.. 4. ქ. ვინცა ძმა მოკლას ანუ მამა, ხელი მოეკუეთოს და მამულისაგან განვარდეს.. 5. ქ. ვინცა უბრალო კაცი მოკლას ანუ მგზავრი, ანუ მცველი რისამე ქურდობით, განიპატიჯოს. 6. ქ. ვინცა ქურდობა ქნას, რარიგადაც პირველად წესი ყოფილიყოს, ისრე გარდაახდევინონ. ქ. ებისკოპოზის საქმე ესე გაგვიჩენია. ქ. რომელიც ებისკოპოზი მისსა საყდარსა განეშოროს თვინიერ ოცის დღისა, თუ არ პატრონისა მიზეზისა და საქმისათვის და ანუ სამწყსოსა შიგან სიარულისაგან თავი ხელთ არა ჰქონდეს და ანუ ავად არ იყოს, ანუ მისსა სამწყსოსა შიგან ქორებისკოპოზსა გაუწყუეტლად არ არონინებდეს და სჯულის საქმესა და მღდელ-მონაზნის საქმეს და მისსა სამწყსოსა ეკლესიების საქმესა მართლად არ მწყსობდეს, არა მართებდეს და არ ამაგრებდეს, რაცა ძალ-ედვას, მის საყდარს არ აშენებდეს და არ კაზმევდეს, ანუ საყდრის მამულს არ ამაგრებდეს, და რომელმანცა ებისკოპოზმან, რაცა სჯულის კანონსა შიგან არ ეწეროს, იმას გარეთ ანუ უხვედრობისა და სვინაობისა საქმესა ზედა ნება დართოს და ანუ საკანონო აართვას, შეჩუენებულ იყოს წმიდათა კრებულთაგან და კანონსამცა ქუეშ არის წმიდათა მოციქულთასა, და მისისა საყდრისაგან ექსორია იქმნას. 8. ქ. რომელმანცა ებისკოპოზმან დიაკონი და მღდელი ასრე აკურთხოს, რომე მართალზე არ განიკითხოს და ანუ დავითნისა და მსგებსისა და კურთხევანისა კითხვა არ შეეძლოს, და ანუ უმოძღურო იყოს და მოძღუარი არ განიკითხოს, შეჩუენებული იყოს. 9. ქ. რომელმანცა ებისკოპოზმან სხვის ებისკოპოზისა შეუნდობელსა შენდობა მისცეს, ანუ დიაკონი და მღვდელი უკურთხოს, შეჩუენებული იყოს. 10. ქ. რომლისაც ებისკოპოზის სამწყსოს შიგან ესე იქნებოდეს, უმღდლოდ და, თუ ღონე არ იყოს, უმთავარდიაკუნოდ, ერის კაცის ხელითა ანუ ზიარება გაეგზავნოს და ანუ ეზიაროს, ხუცესი წირვისაგან დააყენოს. 11. ქ. რომელმან ებისკოპოზმან მისსა სამწყსოსა შინა ესე იკადროს და არ მოიკითხოს, შეჩუენებული იყოს. 12. ქ. რომლისაც ებისკოპოზისა ქორებისკოპოზი სოფლის სოფლამდის და ეკლესიის ეკლესიამდის არ მივიდოდეს და იმ ეკლესიის შესავალსა კაცებსა არ შეჰყრიდეს, უქმობასა, ნათესაობასა, ავგზისობასა, სვინაობასა, მარხვის ჭამასა მართლით საქმით არ გამოიკითხვიდეს და არ მართებდეს, შეჩუენებული“. (კაკაბაძე, 1913:3-5).

დოკუმენტის კომენტარში მეცნიერმა გამოთქვა მოსაზრება, რომ აღნიშნული საბუთი უნდა შეედგინათ XVl საუკუნის 50-იან წლებში. განსხვავებული იყო აფხაზთა კათოლიკოზების ტიტულატურა, მაგალითად, ერთ შეწირულობის სიგელში, რომელიც 1755 წელსაა შედგენილი, ვკითხულობთ: „ლიხთიმერთა ოდიშართა, პონტო აფხაზ გურიათა, რაჭა, ლეჩხუმთ, სვანთ, ოსთ, დვალთა და სრულიად ჩრდილოეთისა, საჭეთმპყრობელმან რაჭის ერისთავის ძემან, კათალიკოზ პატრიარხმან ბესარიონ უფალმან ბატონმა“. (კაკაბაძე, 1921:4). 1770 წელს შედგენილ ერთ-ერთ საბუთში იოსებ კათალიკოზი თავის თავს ასე მოიხსენიებს: „ჩრდილოსა აფხაზეთისა და ყოვლისა იმერეთისა კათალიკოზ ბატონიშვილმან იოსებ. (სარგის კაკაბაძე, 1921:42).

მიუხედავად დასავლეთ საქართველოში სოლომონ I-ის მიერ ჩატარებული საეკლესიო კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილებისა, აღეკვეთათ ტყვეთა სყიდვა, მაინც ხშირი იყო ადამიანებით ვაჭრობა. 1776 წელს ლიხთ-იმერეთის კათალიკოზ-პატრიაქი მაქსიმე ასეთი შეჩვენების ტექსტს ადგენს: „აწ უწყოდეთ ქს სისხლითა მოსყიდულთა ერთა. ჩიჩუა კაციამ ჩვენი ბიჭვინთის ეკლესიის შვილები მძლავრებით და უსჯულოებით დაგვიყიდა და უსჯულოთა ოთომანიანთა მისცა წარსაწყმედელად და შესაგინებლად. და მიუხვნა დედასა თსსა ეკლესიასა ძენი ემბაზისა სანათლოსა აღმოშობილნი უწყლოობითა და უსამართლოებითა აწ ვინაიდან არ შეიშინა დედისაგან ღთისა და არცა დედისაგან თვისისა წმიდისა ეკკლესიისა და განეხვნა ნებით ორთავე საფარველსა. ამისათვის შევაჩვენებ წყეულსა მას კაცია ჩიჩუას და განვახვამ ეკლესიისაგან და განვაყენებ ქენობისაგან, წყეულ იყავნ და შეჩვენებულ“. (კაკაბაძე,1921:52). საეკლესიო დოკუმენტებში მრავლადაა დასავლეთ საქართველოს საკა-თალიკოზოს მცდელობა, აღკვეთოს ქვეყნისათვის დამანგრეველი ტყვეთა სყიდვა, რასაც, სამწუხაროდ, არ იშლიდნენ თავადები. 1777 წელს თავადი მერაბ ლორთქიფანიძე პირობად დებს კათალიკოზ მაქსიმესთან: „ჩემს სიცოცხლეში ქრისტიანი კაცის შვილი არ მივყიდო თათარს, არცა სხვა უსჯულო კაცსა“. 1921:60).

ქართული ისტორიოგრაფიისათვის მნიშვნელოვანი შენაძენი იყო მეცნიერის მიერ 1925 წელს „საისტორიო მოამბის“ მეორე ტომში გამო-ქვეყნებული „აფხაზეთის საკათალიკოზო დიდი იადაგარი“, რომელიც თავის დროზე ალექსანდრე ხახანაშვილს გამოუცია. მეცნიერმა, არსებული მასალის კრიტიკული განხილვის საფუძველზე, იადაგარის შედგენის თარიღად დაასახელა 1526-1550 წლები. როგორც ს.კაკაბაძე აღნიშნავს: „იადაგარის მნიშვნელობა ქართული სამართლის და, კერძოდ, ქართული საეკლესიო სამართლის ისტორიისათვის თავისთავად ცხადია. იადაგარი წარმოადგენს ამავე დროს ფრიად საინტერესო მასალას ლიხთ-იმერეთის სოციალური წყობის შესახებ XVI საუკუნეში. იადაგარი განასხვავებს ერთმანეთისაგან დიდებულს, თავადს და აზნაურს. გლეხები კიდევ განიყოფებიან მსახურებად და მოინალეებად... იადაგარი შეიცავს საკათალიკოზო ყმების სამართლის იმუნიტეტს, მეფის მიერ დამტკიცებულს... იადაგარი განსაზღვრავს აგრეთვე აფხაზეთის კათალიკოზების სამწყსოს ლიხსა და კაფას შუა და რუსეთის სამზღვარსა და ჭანეთს შუა“. (კაკაბაძე, 1925:178-179). იადაგარს ძირითადი ტექსტის შემდეგ აქვს ლიხთ-იმერეთისა და აფხაზთა 8 კათალიკოზის ხელმოწერა. ესენი არიან: მალაქია I, ევდემონი, ექვთიმე, მალაქია II, მაქსიმე, ზაქარია, სვიმეონი და დავითი (1519-დან 1696 წლამდე).

მეცნიერმა დაადგინა ლიხთ-იმერეთისა და აფხაზთა მანამდე უცნობი კათალიკოზის იოსებ მაჭუტაძის მამამთავრობის წლები - 1540-1550წ.წ. (კაკაბაძე, 1920:61). მეცნიერმა საგანგებო ნაშრომი მიუძღვნა იმერთა მეფე სოლომონ I-ის საეკლესიო რეფორმებს, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვნად მიიჩნია მტერთაგან მოშლილი ქუთათელის კათედრის აღდგენა: „აწ და უკუნისამდე, რათა შეუცვალებლად ეგოს საქუთათლო ესე და დავაჯდინეთ ქუთათელი ესე და გაკურთხებინეთ ქუთათლად აბაშიძე

მაქსიმე და აწ გაწესებთ, რათა ამიერიდან უკუნისამდე შეუცვალებლად ეგოს, ვითარცა წმიდამან ამან კრებამან განაწესედ და დაამტკიცედ“. (კაკაბაძე, 1913:4). ასევე მნიშვნელოვანი იყო 1759 წლის ცნობილი დადგენილება, რომელიც მიმართული იყო ტყვეთა სყიდვის წინააღმდეგ და განამტკიცებდა ეკლესიის როლს სახელმწიფოში.

მეცნიერი უარყოფითად აფასებდა რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე I-ის ბრძანებას საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შესახებ და ხაზგასმით მიუთითებდა, რომ რუსეთის ხელისუფლებას ამ გადაწყვეტილებაზე არ ჰქონდა აღმოსავლეთის (კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიის, და იერუსალიმის) საპატრიარქოების თანხმობა. მისი აზრით, დასავლეთ საქართველოში საეკლესიო ამბოხის მიზეზი გახდა „ეგზარქოს თეოფილაქტე რუსანოვის სურვილი, დაემორჩილებინა დასავლეთ საქართველოს ეპარქიები ეგზარქოსისათვის, 9 ეპარქიის ნაცვლად დაეტოვებინა 3 ეპარქია“. (კაკაბაძე,1997:88). მეცნიერი აკრიტიკებდა რუსეთის საერო და სასულიერო ხელისუფლების პოლიტიკას XIX საუკუნეში, რომელიც მიზნად ისახავდა ქართველი ერის დენაციონალიზაციას. სამეგრელოს სკოლებში მეგრულ ენაზე სწავლების და წირვა-ლოცვის მეგრულად ჩატარების მცდელობა „დასაწყისშივე ჩაიშალა. ადგილობრივებს მეგრული წირვა-ლოცვის გაგონებაც კი არ უნდოდათ. 1911 წელს სოფ. წალენჯიხაში მღვდელმა კალანდიამ ქართულად შესრულებულ წირვაში გაურია რამდენიმე ასამაღლებელი მეგრულად, რამაც აღაშფოთა იქ დამსწრენი. წირვის გათავებისთანავე ხალხმა სცემა მღვდელს იმდენად სასტიკად, რომ ცემაში მონაწილეთა გასარკვევად ხელისუფლების მიერ გაგზავნილ იქნა ზუგდიდის მაზრის გამომძიებელი“. (კაკაბაძე, 1997:205).

მეცნიერი ამხელდა რუსი ეგზარქოსების ანტიქართულ პოლიტიკას და აქტიურად უჭერდა მხარს ავტოკეფალურ მოძრაობას. მისთვის პრინციპულად მიუღებელი იყვნენ ის შავრაზმელი რუსი მოხელეები და სასულიერო პირები, რომელნიც გააფთრებით ებრძოდნენ ქართულ ცნობიერებას. 1902 წლის რუსეთის სინოდის დადგენილებით, სამეგრელოს სკოლებში ქართული ენა უნდა ჩანაცვლებულიყო მეგრულით.“ ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიურობდა დეკანოზი ივანე ვოსტორგოვი, რომელსაც მედგარ წინააღმდეგობას უწევდა გურია-ოდიშის ეპისკოპოზი ალექსანდრე ოქროპირიძე. განრისხებულმა ვოსტორგოვმა პეტრებურგში სინოდს აცნობა, რომ ეპისკოპოზმა ალექსანდრემ „ვერ გამოიჩინა უნარი სახელმწიფო იდეების გასატარებლად“, ამიტომ აუცილებელი იყო მისი გადაყენება“(კაკაბაძე,1997:208). ამ დასმენის საფუძველზე, ეპისკოპოზი ალექსანდრე ოქროპირიძე, რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ II-ის ბრძანებით, პენსიაზე გაუშვეს, მაგრამ რუსეთის ხელისუფლებამ თავის მიზანს ვერ მიაღწია. 1904 წლის 23 ივლისს, სინოდის ობერპროკურორ ლ.პობედონოსეცთან გაგზავნილ წერილში, რომელსაც ხელს აწერდა 113 კაცი, დაგმობილ იყო ხელისუფლების პოლიტიკა. სარგის კაკაბაძე დანანებით შენიშნავს გადაგვარებული, რენეგატი ქართველი ეპისკოპოზის, დიმიტრი აბაშიძის მოღალატეობაზე, რომელმაც პეტერბურგის სასწავლო კომიტეტში გაგზავნილ საიდუმლო წერილში აღნიშნა: „არათუ სამეგრლოში, არამედ

მთელ საქართველოში საეკლესიო სკოლებში ქართული ენის სწავლება უნდა აღკვეთილ იქნას, რადგან ქართული ლიტერატურა სავსეა ღვთისმგმობელი და სეპარატისტული აზრებითო". (კაკაბაძე,1997:209). 1905 წელს მოღალატე ეპისკოპოზ დიმიტრის ხალხი მოკვლით დაემუქრა... იგი საქართველოდან გაიქცა რუსეთში.

სარგის კაკაბაძის დაკვირვებით, XIX საუკუნის ბოლოს „ავტოკეფალიის იდეის წამოყენებით ქართველი სამღვდელოებაც ჩაერთო ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში". (კაკაბაძე,1997:234).

მეცნიერი დიდი სიხარულით შეხვდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას, აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის სხდომებში 1917 წლის 13 მარტიდან 8 სექტემბრამდე, მაგრამ ამავე დროს გულისტკივილით წერდა: „სამღვდელოების მაღალ წრეებში დაბუდებული იყო ერთმანეთის გაუტანლობა და სისხლიანი შურისძიება. მიტროპოლიტ ლეონიდეს მომხრემ 1918 წლის 27 ივნისს მოკლა კათალიკოზი კირიონი. ამის შემდეგ მოკლეს კიდევ ორი მღვდელი. ამგვარად, ეკლესიის საკითხში ფეხი მოიკიდა ტერორმა. ასეთ პირობებში კათალიკოზად ახალი არჩევნების დაუნიშნავად გახდა ლეონიდე. კირიონ კათალიკოზის სიკვდილით საქართველოს ეკლესიამ, შეიძლება ითქვას, დაამთავრა თავისი ერთნახევარ ათასწლოვანი ისტორია. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ახალგაზრდობამ ზურგი აქცია ეკლესიას, რომელიც თანდათან საქართველოს ტერიტორიაზე თითქმის გაუქმდა, დარჩა ძლიერ მცირედ მაინც კათალიკოზით სათავეში". (კაკაბაძე,1997:248). 1921 წლის ბოლშევიკური ოკუპაციის შემდეგ, როდესაც საქართველოს ეკლესია კანონგარეშე ორგანიზაციად გამოცხადდა, დაიწყო აგრესიული ათეიზმი ხანა. პროფესორმა სარგის კაკაბაძემ არაერთი საინტერესო საეკლესიო დოკუმენტი გამოაქვეყნა და შემოიტანა სამეცნიერო მიმოქცევაში. ამის გარდა, როგორც სიძველეთა კომიტეტის ხელმძღვანელმა, 1924-1936 წლებში თბილისსა თუ პროვინციებში ადგილობრივი პარტიული და კომკავშირელი ლიდერების ანტირელიგიურ კამპანიისგან ბევრი საეკლესიო დოკუმენტი, წმიდა ხატები, ბარძიმ-ფეშხუმები და სხვა საეკლესიო დანიშნულების ისტორიული ნივთები გადაარჩინა დაღუპვას.

პროფესორი სარგის კაკაბაძე იყო დიდი პატრიოტი და გამორჩეული ისტორიკოსი. დასანანია, რომ მის დამსახურებას ნაკლებად იცნობს საზოგადოება.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

kakabadze, s. (1912). *tsmida nino da misi mnishvneloba sakartvelos istroiashi.* tpilisi. (კაკაბაძე, ს. (1912). *წმიდა ნინო და მისი მნიშვნელობა საქართველოს ისტორიაში.* ტფილისი.)

kakabadze, s. (1924). *saistorio dziebani.* tbilisi. (კაკაბაძე,ს.(1924). *საისტორიო ძიებანი.* თბილისი.).

kakabadze,s.(1994). *vakhtang gorgasali da misi xana.* tbilisi. (კაკაბაძე,ს. (1994). *ვახტანგ გორგასალი და მისი ხანა.* თბილისი.).

kakabadze,S. (1928). *saistorio krebuli.* tsigni1.Tbilisi. (კაკაბაძე,ს.(1928). *საისტორიო კრებული.* წიგნ.1.Tbilisi.

kakabadze, s.(1925). *saistorio moambe* .t.2.tbilisi. (კაკაბაძე,ს.(1925). *საისტორიო მოამბე.* ტ. 2. თბილისი.).

kakabadze, s. (1921). *dasavlet sakartvelos saeklesio sabutebi.* t.1.tbilisi. (კაკაბაძე, ს.(1921). *დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები.* ტ.1. თბილისი.).

kakabadze, s. (1913). *samartali katalikozisa da misi shedgenis dro.*tpilisi. (კაკაბაძე, ს. (1913). *სამართალი კათალიკოზისა და მისი შედგენის დრო.* ტფილისი.).

kakabadze, s. (1921). *dasavlet sakartvelos saeklesio sabutebi.* t. 2. tpilisi. (კაკაბაძე, ს. (1921) *დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები.* ტ. 2. ტფილისი.).

kakabadze, s. (1913). *saeklesio repormebisatvis solomon pirvelis dros.* tpilisi. (კაკაბაძე, ს. (1913). *საეკლესიო რეფორმებისათვის სოლომონ პირველის დროს.* ტფილისი.).

kakabadze,s.(1920). XVl saukunis apkhazetis utsnobi katalikozi ioseb machutadze. *kvleva-dziebani sakartevlos istoriis sakitxebis shesaxeb.* tpilisi. (კაკაბაძე, ს. (1920). XVl საუკუნის აფხაზეთის უცნობი კათალიკოზი იოსებ მაჭუტაძე. *კვლევა-ძიებანი საქართველოს ისტორიის საკითხების შესახებ.* ტფილისი.).

kakabadze, s. (1997). *kartveli khalkhis istoria 1783-1921 tslebshi.* tbilsi. (კაკაბაძე, ს. (1997). *ქართველი ხალხის ისტორია 1783-1921 წლებში.* თბილისი.).